ესტონეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წინააღმდეგ განხორციელებული მუქარების გამო ტალინის მიტროპოლიტმა ევგენიმ მორწმუნეებს საგანგებო მარხვისკენ მოუწოდა

სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური, 23.04.2024. ტალინისა და სრულიად ესტონეთის მიტროპოლიტმა ევგენიმ ეკლესიაზე გაზრდილ ზეწოლასთან დაკავშირებით ესტონეთის მართლმადიდებელი ეკლესიის სამღვდელოებასა და ერისკაცებს მიმართა და ერთდღიანი მკაცრი მარხვისკენ მოუწოდა, – **იუწყება** Патриархия.ru.

„იწურება დიდი მარხვა, რომელიც ჩვენთვის უკავშირდებოდა არა მხოლოდ ხორციელ შეზღუდვებს, არამედ, ასევე, ჩვენი ეკლესიის ბედის შესახებ მრავალ განცდებს. ჩვენი ძალისხმევის მიუხედავად, შეგვემცირებინა დაძაბულობა საზოგადოებაში, ეკლესიურ ცხოვრებაში რყევების საშიშროებას ჯერაც არ ჩაუვლია. ჩვენ წამოვიწყეთ მოლაპარაკების პროცესი და ვიმედოვნებთ, რომ ღვთის შეწევნით შევძლებთ, ვიპოვოთ, კრიზისის დაძლევის გზები“, – ნათქვამია ესტონეთის მართლმადიდებელი ეკლესიის

წინამძღვარის წერილში.

მან ასევე მოუწოდა ყველას სიმშვიდისკენ, ეკლესიის იერარქიის ერთგულებისკენ და კიდევ ერთხელ შეახსენა ეკლესიურ საზოგადოებას, რომ ყველა განსაცდელის დაძლევის მთავარი საშუალება მარხვა და ლოცვაა.

„ამასთან დაკავშირებით, ყველას, ვისაც კი ძალა შეგწევთ, კურთხევას გაძლევთ, 23 აპრილს დაიცვათ ერთდღიანი მკაცრი მარხვა. ტაძრების წინამძღვრებს ვთხოვ, აღასრულონ პარაკლისი ამ დღეს 18:00 საათზე (ტექსტი მოგვიანებით დაიგზავნება)“, – ნათქვამია მიტროპოლიტ ევგენის მიმართვაში.

ესტონეთის მართლმადიდებელი ეკლესია დიდი ხანია იმყოფება ესტონეთის ხელისუფლების ზეწოლის ქვეშ.

11 აპრილს, ესტონეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა ლაური ლიაენემეტსმა, ეროვნული ტელევიზიის პირდაპირ ეთერში გამოსვლისას თავისი ქვეყნის პარლამენტს მოუწოდა „რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია ტერორისტულ ორგანიზაციად სცნონ“ და მისი საქმიანობა აკრძალონ.

18 აპრილს ტალინის ხელისუფლებამ მოსკოვის საპატრიარქოს ესტონეთის მართლმადიდებელი ეკლესიასთან კანცელარიის შენობის იჯარით სარგებლობის ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ განაცხადა. იმავე დღეს ესტონეთის პარლამენტს ასევე წარედგინა განცხადების პროექტი „მოსკოვის საპატრიარქოს დაგმობის შესახებ“.

23 აპრილს მინისტრმა ლიაენემეტსცმა განაცხადა, რომ ქვეყანაში მოქმედ მართლმადიდებლურ მონასტრებს, რომლებიც უარს იტყვიან რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის დაქვემდებარებიდან გამოსვლაზე, შესაძლოა, სახელმწიფოს გადაწყვეტილებით საქმიანობა იძულებითი წესით შეუწყდეს.

რიგი დამკვირვებლების აზრით, ესტონეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს მიზანია, აიძულოს ესტონეთის მართლმადიდებელი ეკლესიის სამრევლოები, გაწყვიტონ კანონიკური ერთობა რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიასთან.

წყარო: https://mospat.ru/ge/news/91691/